ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4761066

ნომერი: AR1716067

თარიღი : 31.10.2019

გაცემის თარიღი : 21.11.2019

გაცნობის თარიღი : 21.11.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შანდორ პეტეფის N15 , წულუკიძის N20 , თბოსადგურის მიმდებარედ , (ნაკვეთი N 005/033);

დამკვეთი-განმცხადებელი

- გურამ თავაძე პ/ნ 01026008927
- თბილისი მ. და ა.ბალანჩივაძეების ქ. N 1 ბ. 77

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 19 ივნისის №4022939 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019

წლის 31 ოქტომბერს №AR1716067 განცხადებით მომართა გურამ თავაძემ და მოითხოვა სამსახურის 2018 წლის 19 ივნისის №4022939 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 19 ივნისის №4022939 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი - ისანი, შანდორ პეტეფის ქუჩა №15, წულუკიძის ქუჩა №20-ში, (ს/კ N01.17.10.005.088) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი.
სამსახურის 2018 წლის 29 ოქტომბრის №4237751 ბრძანებით ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 29 ოქტომბრიდან 2020 წლის 29 ოქტომბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 19 ივნისის №4022939 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ – ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს აღნიშნულის შესწორებას, კერძოდ:
განმცხადებელს სურს ავტოსადგომების ფართობად 1691.6კვ.მ-ის ნაცვლად დაფიქსირდეს 1490.3 კვ.მ და დაემატოს ასევე გარე ავტოსადგომების ფართი 228.9 კვ.მ, ასევე განმარტავს, რომ 2018 წლის 19 ივნისის №4022939 ბრძანებით შეთანხმებული გეგმებზე საცხოვრებელი და საზაფხულო ფართობები არასწორად იქნა მითითებული და ითხოვს აღნიშნულის შესწორებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 19 ივნისის №4022939 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 19 ივნისის №4022939 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ავტოსადგომების საერთო ფართობად დაფიქსირდეს 1490.3; საერთო ფართად დაფიქსირდეს 11080.8 კვ.მ. დაემატოს გარე ავტოსადგომების ფართი 228.9 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 19 ივნისის №4022939 ბრძანებით შეთანხმებული 0.00; +10.80; +13.95; +17.10; +20.25; +26.55; +29.7; +32.85; +36.00 ნიშნულებზე მდებარე გეგმები ჩანაცვლდეს 2019 წლის 31 ოქტომბერს №AR1716067 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში 0.00; +10.80; +13.95; +17.10; +20.25; +26.55; +29.7; +32.85; +36.00 ნიშნულებზე წარმოდგენილი გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 19 ივნისის №4022939 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 19 ივნისის №4022939 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.